ბრძანება:**ბ41. 41251603**

თარიღი:**09/06/2025**

დიმიტრი თოდუას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტად (მძღოლად) უვადო ხელშეკრულებით დანიშვნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,გ“ პუნქტის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, და 61-ე მუხლის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე, 84-ე მუხლების, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომითი კოდექსი“ მე-12 მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 113-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,დიმიტრი თოდუას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტად (მძღოლი) დანიშვნის თაობაზე'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 01 აგვისტოს **№** ბ 41-41232135 ბრძანება.

2. დაინიშნოს დიმიტრი თოდუა უვადო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტად (მძღოლად) 2025 წლის 09 ივნისიდან.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტს (მძღოლის) შრომითი ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.

4. გამოცემული ბრძანების ასლი გადაეგზავნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტს (მძღოლს) დიმიტრი თოდუას.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - საკრებულოს აპარატის უფროსს (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) - ლევანი თულაძეს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთ რუსთველის ქ.№ 247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

შრომითი ხელშეკრულება № 6

ქ. სენაკი

9 ივნისი 2025 წელი

ერთის მხრივ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო „დამსაქმებელი", რომლის რეკვიზიტებია: მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ.№ №243; საიდენტიფიკაციო კოდი: 239889705 და მეორეს მხრივ დიმიტრი თოდუა "დასაქმებული", რომლის პირად დოკუმენტთა რეკვიზიტებია: მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №88; პირადი №39001011065, N№ 20IA83461 ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

დამსაქმებელი მოქმედებს რა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით, იღებს სამუშაოზე დასაქმებულს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტად (მძღოლი) თანამდებობაზე, ხოლო დასაქმებული თანახმაა განახორციელოს ამ თანამდებობით განსაზღვრული შრომითი საქმიანობა.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულის შრომის, შრომით და პროფესიულ ურთიერთობებს.

1.2 მხარეების უფლებები და მოვალეობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დამსაქმებლის დებულებით, აპარატის დებულებით, შინაგანაწესით.

მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

2.1. ხელშეკრულება მოქმედებს უვადოდ.

2.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

2.3. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ასევე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-თ გათვალისწინებულ შემთხვევაში, საფუძვლებითა და წესით.

მუხლი 3. საქმიანობის საგანი და შესასრულებელი სამუშაოს დასახელება

3.1. დასაქმებული საკრებულოს თავმჯდომარის მომსახურებას უზრუნველყოფს მის (დასაქმებული) საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით (ტრანსპორტის მარკა, მოდელი - KIA SPORTA GE; სარეგისტრაციო ნომერი - DD026FD).

3.2. უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საკრებულოს აპარატის უფროსის დავალებების შესრულებას.

მუხლი 4. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები

4.1. დასაქმებული ვალდებულია:

4.1.1. ჯეროვნად, დროულად, ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის მინდობილი სამუშაო, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მესამე მუხლში.

4.1.2. კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის უფროსის მითითებით.

4.1.3. გაუფრთხილდეს დამსაქმებლის ქონებას.

4.1.4. დასაქმებული უშუალოდ ანგარიშვალდებულია საკრებულოს თავმჯდომარის და აპარატის უფროსის წინაშე.

4.2. დასაქმებულს უფლება აქვს:

4.2.1. მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მის სამუშაოს სათანადო შესრულებასთან.

4.2.2. მოითხოვოს დამსაქმებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობის შესრულება.

4.2.3. ისარგებლოს კანონით დადგენილი სხვა უფლებებით.

მუხლი 5. დამსაქმებლის უფლებები და მოვალეობები

5.1. დამსაქმებელი ვალდებულია:

5.1.1. შეუქმნას დასაქმებულს ნორმალური სამუშაო პირობები დაკისრებული მოვალეობების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

5.1.2. დამსაქმებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების (ტრანსპორტის მარკა, მოდელი - KIA SPORTA GE ; სარეგისტრაციო ნომერი DD-026-FD) და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

5.1.3. მოახდინოს შრომის ანაზღაურება მე-6 მუხლში მითითებული ოდენობით.

5.2. დამსაქმებელს უფლება აქვს:

5.2.1. მოთხოვოს დასაქმებულს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დაცვა.

მუხლი 6. შრომის ანაზღაურება

6.1. დამსაქმებელი დასაქმებულს ყოველთვიურად, შრომის ანაზღაურების სახით უხდის 1900 (ათას ცხრაასი) ლარს.

6.2. შრომის ანაზღაურება (ხელფასი) გაიცემა თვეში ერთხელ უნაღდო ანგარიშსწორებით (პლასტიკური ბარათის საშუალებით).

მუხლი 7. სამუშაო დრო

7.1. დასაქმებულის სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება კვირაში ხუთი სამუშაო დღით. დასაქმებული ვალდებულია მასზედ დაკისრებული სამუშაოს შესრულება განახორციელოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაო დროის დასრულების შემდეგ. სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

7.2. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო: სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის - ანაზღაურების გარეშე; საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის - სათანადო ანაზღაურებით.

7.3. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს.

7.4. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

7.5. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემა.

მუხლი 8. შვებულება

8.1. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით.

8.2. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.

8.3. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

8.4. დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია - ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში - ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

9.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

9.1.1. მხარეთა შეთანხმება.

9.1.2. კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

9.1.3. თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება რის შესახებაც ხელშეკრულების შეწყვეტა მხარემ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.1.4. ხელშეკრულება ვადამდე დამსაქმებლის ინიციატივით წყდება თუ:

ა) დასაქმებული ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;

ბ) არღვევს მოქმედი შრომის კანონმდებლობას;

9.1.5. ხელშეკრულება ვადამდე დასაქმებულის ინიციატივით წყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) დამსაქმებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმებების მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმე მხარეთა ინიციატივით შეიძლება გადაეცეს სასამართლოს.

მუხლი 11. სხვა დებულებები

11.1. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.
11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.
11.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეს და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას (ასლი).
11.4. ნებისმიერი ცვლილება ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ ურთიერთობებში ფორმდება წერილობით ხელშეკრულების დამატების სახით ან ახალი ხელშეკრულებით.
11.5. ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით;
11.6. ურთიერთობები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

დამსაქმებელი:	დასაქმებული:
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო მის: ქ. სენაკი, შ რუსთაველის ქ. №243 ტელ: 0 413 27 57 97 ფაქსი: 0 413 27 52 11 E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com საიდენტიფიკაციო კოდი 239889705	დიმიტრი თოდუა (სახელი, გვარი) ქ. სენაკი, შ.რუსთაველის ქ. №88 პირადი №390010141065, N№ 2083461 (იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი პირადობის მოწმობისა და პირადი ნომერი)
საკრებულოს თავმჯდომარე: სანდრო ოდიშარია	ტელ: 591 26 85 85
(ხელმოწერა) ----------	---------- (ხელმოწერა)
ბ. ა. ხელმოწერის თარიღი: 09 ივნისი 2025 წ.	ხელმოწერის თარიღი: 09 ივნისი 2025 წ.